

**ადამიანის უფლებათა ევროპული
სასამართლოს 2010 წლის პირველ
განჩინებათა და გადაწყვეტილებათა
კრებული**

**საქართველოს უზენაესი სასამართლო
ადამიანის უფლებათა ცენტრი**

თბილისი

2011

SELECTION OF JUDGEMENTS AND DECISIONS
DELIVERED BY THE
EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS IN
2010

The Supreme Court Of Georgia
Human Rights Centre

Tbilisi
2011



კრებული შეადგინა და დაამუშავა

თინათინ ბაქაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
ადამიანის უფლებათა ცენტრი

სტილისტი

თინათინ ქოქრაშვილი

დიზაინი

მარიკა მაღალაშვილი



The Collection was compiled and elaborated in the
Human Rights Centre of the Supreme Court of Georgia by

Tinatin Bezhashvili

Style Editor

Tinatin Kokrashvili

Designed by

Marika Maghalashvili

წინასიტყვაობა

წინამდებარე კრებული წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ ტრადიციულად ქცეულ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა და გადანყვეტილებათა მოკლე მიმოხილვის სახით კიდევ ერთ გამოცემას.

კრებულში 2010 წლის სასამართლოს მიერ განმავლობაში განხილული საქმეებიდან რეზიუმეს სახით წარმოდგენილია შერჩეული პრეცედენტები კონვენციის მუხლების ქრონოლოგიის შესაბამისად.

კრებულში თავმოყრილი საქმეები, მათ შორის, კონვენციის 43-ე მუხლის შესაბამისად – დიდი პალატის მიერ განსახილველი საქმეები, დასათაურებულია და ერთვის განაცხადის ნომერი, რაც შესაძლებელს ხდის შესაბამისი საქმის ადვილად მოძიებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ვებ-გვერდზე არსებულ საძიებო სისტემაში. სასამართლოს გადანყვეტილების მიხედვით, საქმე ზოგ შემთხვევაში სხვადასხვა საკვანძო დასახელებით არის წარმოდგენილი. იმ საქმეებზე, სადაც გადანყვეტილება არ არის საბოლოო და არსებობს დიდი პალატისათვის მისი გადაცემის მოთხოვნა, განჩინებათა შედეგი პირობითია.

კრებული მკითხველს აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა გარემოებანი მიიჩნია ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დებულებათა დარღვევად და რა გარემოებანი – კონვენციის დებულებათა შესაბამისად. ჩგარდა ამისა, კრებულში შეტანილია საქმეები ისეთ საკითხებთან მიმართებით როგორცაა სასამართლოს იურისდიქცია, პროცედურული უფლებები, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, სამართლიანი დაკმაყოფილება, გადანყვეტილებათა აღსრულება და სხვა.

ყველა განხილული განჩინებისა თუ გადანყვეტილების სრული ტექსტი შესაძლებელია მოძიებულ იქნეს ადამიანის უფლებათა სასამართლოს საძიებო სისტემაში.

PREFACE

The present collection is the latest instalment in an annual series prepared by the Human Rights Centre of the Supreme Court of Georgian. It consists of short reviews of selected judgements and decisions from the European Court of Human Rights

The case laws discussed in this collection are from cases heard by the court in 2010. Summaries of these cases are presented in chronological order, following the Articles of the Convention on Human Rights.

The cases (including non-final judgments, see Article 43 of the Convention) are listed with their name and application number. The two- or three-digit number at the end of each reference line indicates the issue of the Case-Law Information note where the judgment was summarized. Depending on the Court's findings, a case may appear under several keywords. Where a Chamber judgment is not final or a request for referral to the Grand Chamber is pending, the decision to publish the Chamber judgment is provisional. All judgments and admissibility decisions (other than those taken by committees) are available in full text in HUDOC.

The collection provides readers with an overview of cases determined by the court to be in violation of both The Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms and otherwise. In addition, it gives an overview of cases regarding jurisdiction, procedural rights, civil and political rights, just satisfaction, execution of judgments, and other matters.

სტრასბურგის სასამართლოს მიერ 2010 წელს მიღებული განჩინებებისა და გადაწყვეტილებების მოკლე მიმოხილვა¹

2010 წელს სასამართლომ მიიღო 1499 განჩინება,² ოდნავ ნაკლები წინა წელთან შედარებით (2009 წლის მონაცემებით მიღებულ განჩინებათა რაოდენობა 1625 იყო). წინა წელთან შედარებით 9%-ით გაიზარდა განაცხადთა რაოდენობა, რომელთა განხილვის შედეგად გამოტანილ იქნა განჩინება. სასამართლომ დიდი პალატის შემადგენლობით გამოიტანა 18 განჩინება, ერთი გადაწყვეტილება დასაშვებობაზე და ერთიც საკონსულტაციო დასკვნა.

მრავალი განჩინება ეხება ე.წ. „ანალოგ“ საქმეებს: განჩინებათა გარკვეული რაოდენობა, რომელიც სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მონაცემთა ბაზაშია კლასიფიცირებული, როგორც I და II დონის³ მნიშვნელობის მქონე საქმეები, 2010 წელს მიღებული განჩინებების 32.5%-ს წარმოადგენს.

კონვენციის ნორმა, რომლის ირგვლივაც წარმოიშვა ყველაზე მეტი რაოდენობის დარღვევა მე-6 მუხლი იყო – საქმის გონივრულ ვადაში განხილვასთან დაკავშირებით არსებული დარღვევები, რასაც საქმის სამართალიანი განხილვის უფლების დარღვევა მოსდევს. კონვენციის მე-6 მუხლის შემდეგ დარღვევების სიმრავლით გამოირჩევა კონვენციის მე-5 მუხლი (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) და მე-3 მუხლი (წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა). ყველაზე დიდი რაოდენობით განჩინებები, რომლებშიც დაფიქსირდა თუნდაც ერთი დარღვევა, გამოვიდა თურქეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ (228), შემდეგ – რუსეთის წინააღმდეგ (204), რუმინეთის წინააღმდეგ (135), უკრაინისა (107) და პოლონეთის წინააღმდეგ (87).

2010 წლის 1 ივნისს ძალაში შევიდა კონვენციის მე-14 ოქმი, რომლის მიზანია უზრუნველყოს სასამართლოს მუშაობის გრძელვადიანი ეფექტურობა განაცხადთა დეტალურად შესწავლის, მათი დამუშავებისა და გაფილტვრის კუთხით. ამას გარდა, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა განაცხადთა დასაშვებობის ახალი კრიტერიუმები („მნიშვნელოვანი ზიანის“ არსებობა) და სასამართლო შემადგენლობის ახალი ფორმა – ერთი მოსამართლისგან შემდგარი კომისია, რომელიც განსახილველად დაუშვებელი საქმეების საკითხს წყვეტს.

პალატებისა და დიდი პალატის შემადგენლობების მიერ სულ 673 განაცხადი გამოცხადდა დაუშვებლად (2009 წელს ასეთი განაცხადების რაოდენობა 597 იყო) და 2.749 საქმე ამოირიცხა განსახილველ საქმეთა სიიდან (2009 წელს ასეთი საქმეების რაოდენობა 1.211 იყო). მთლიანობაში 2010 წელს დაუშვებლად გამოცხადდა და განსახილველ საქმეთა სიიდან ამოირიცხა სულ 38.576 საქმე (2009 წლის მონაცემით ასეთი სულ 33.067 საქმე იყო). განსახილველად დასაშვები საქმეების რაოდენობა 2010 წელს იყო 2.474 (2009 წელს – 2.141)

¹ ეს არის რჩეულ განჩინებათა და გადაწყვეტილებათა ჩამონათვალი, სადაც წამოიჭრა საერთო (ზოგადი) ინტერესებიდან გამომდინარე ახალი მნიშვნელოვანი საკითხები და დადგინდა ახალი პრინციპები, ან განიმარტა და სრულყოფილ იქნა პრეცედენტული სამართალი.

² ერთი განჩინება შესაძლოა, ეხებოდეს რამდენიმე განაცხადს. მათი მთლიანი რაოდენობა მოიცავს 116 განჩინებას, რომლებიც მიღებულია სამი მოსამართლისგან შემდგარი კომიტეტის მიერ.

³ დონე I – მაღალი მნიშვნელობის – განჩინებები, რომლებმაც სასამართლოს აზრით, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს პრეცედენტული სამართლის განვითარებაში, განმარტებასა თუ ტრანსფორმაციაში ზოგადი კუთხით, ან კონკრეტულად სახელმწიფოსთან მიმართებაში.

დონე II – საშუალო მნიშვნელობის – განჩინებები, რომლებსაც არ მოუხდენიათ მნიშვნელოვანი ზეგავლენა პრეცედენტული სამართლის განვითარებაში.

დონე III – დაბალი მნიშვნელობის – მცირედი სამართლებრივი ინტერესის მქონე განჩინებები: რომელთა მიმართ გამოიყენება არსებული პრეცედენტული სამართალი, მეგობრული მორიგება და განსახილველ საქმეთა სიიდან ამოირიცხვის განჩინებები (თუ მათ მიმართ არ არსებობს რაიმე კონკრეტული ინტერესი).

Short survey of the main judgments and decisions delivered by the Court in 2010¹

In 2010, the Court delivered a total of 1,499 judgments², slightly down on the 1,625 judgments delivered in 2009. There was a 9% increase in the number of applications that resulted in a judgment compared to the previous year. The Court in its composition as a Grand Chamber delivered 18 judgments, 1 admissibility decision and 1 advisory opinion.

Many of the judgments concerned so-called “repetitive” cases: the number of judgments classed as importance level 1 or 2³ in the Court’s case-law database (HUDOC) represents 32.5% of all the judgments delivered in 2010.

The Convention provision, which gave rise to the greatest number of violations, was Article 6, firstly with regard to the right to a hearing within a reasonable time, then with regard to the right to a fair trial. This was followed by Article 5 (right to liberty and security) and Article 3 (prohibition of torture and of inhuman or degrading treatment or punishment). The highest number of judgments finding at least one violation was delivered in respect of Turkey (228), followed by Russia (204), Romania (135), and Ukraine (107) and Poland (87).

On 1 June 2010 Protocol No. 14 to the Convention came into force with the aim of guaranteeing the Court’s long-term effectiveness by optimising the screening and processing of applications. Among other matters covered, it established a new admissibility criterion (the existence of a “significant loss”) and a new judicial formation – the single judge – to deal with inadmissible cases.

12,894 cases were declared inadmissible or struck out of the list by Committees of three judges and 22,260 by the single-judge formation.

In Chamber and Grand Chamber compositions, 673 applications were declared inadmissible (compared with 597 in 2009) and 2,749 were struck out of the list (compared with 1,211 in 2009). In all, 38,576 cases were declared inadmissible or struck out of the list in 2010 (compared with 33,067 in 2009). The number of cases declared admissible was 2,474 (compared with 2,141 in 2009).

¹ 1. This is a selection of judgments and decisions, which either raise new issues or important matters of general interest, establish new principles or develop or clarify the case law.
2. One judgment may concern several applications and the total figure includes 116 judgments delivered by Committees of three judges.
3. *Level 1* = High importance – judgments which the Court considers make a significant contribution to the development, clarification or modification of its case law, either generally or in relation to a particular State.
Level 2 = Medium importance – judgments which do not make a significant contribution to the case-law but nevertheless do not merely apply existing case-law.
Level 3 = Low importance – judgments with little legal interest: those applying existing case-law, friendly settlements and striking-out judgments (unless these have a particular point of interest).

განჩინებები

მუსლი პირველი

სახელმწიფოს ვალდებულება სახელმწიფო იურისდიქცია

სასამართლოს კომპეტენციის ფარგლების დადგენა იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებიც ადამიანთა საერთაშორისო ტრეფიკინგს ეხება.

რანცევი კვიპროსისა და რუსეთის წინააღმდეგ
Rantsev v. Cyprus and Russia, no. 25965/04, no. 126

ტერიტორიული იურისდიქციის საკითხის გადაწყვეტა ღია წყლებში უცხოური ხომალდის დაკავებისას.

მედვედევი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ
Medvedev and Others v. France [GC], no. 3394/03, no. 128

მუსლი 2

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება სიცოცხლის უფლება

სამხედრო სამსახურში მყოფი ჯარისკაცის თვითმკვლელობა, რომლის ფსიქოლოგიური პრობლემებიც წინასწარ იყო ცნობილი: მიჩნეულია დარღვევად.

ლიუტფი დემირჩი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ
Lutfi Demirci and Others v. Turkey, no. 28809/05, no. 128

დაბადებისთანავე სისხლის გადასხმის შედეგად შიდსით დაავადებული პაციენტი უნდა უზრუნველყოფილიყო სრულყოფილი და უფასო სამედიცინო მომსახურებით, რაც არ განხორციელდა: მიჩნეულია დარღვევად.

ოიალი თურქეთის წინააღმდეგ
Oyal v. Turkey, no. 4864/05, no. 128

პატიმრის თვითმკვლელობა, რისი მიზეზიც გახდა მენტალური დარღვევების გამო ფსიქოტროპული მედიკამენტების გადაჭარბებული დოზით მიღება: მიჩნეულია დარღვევად.

იასინსკა პოლონეთის წინააღმდეგ
Jasicka v. Poland, no. 28326/05, no. 131

ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ დაიცვეს სასიკვდილო საფრთხეში მყოფი ყურნალისტის სიცოცხლე: მიჩნეულია დარღვევად.

დინკი თურქეთის წინააღმდეგ
Dink v. Turkey, nos. 2668/07 et al., no. 133

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ეფექტური გამოძიება

კვიპროსის ხელისუფლებამ მკვლელობის საქმე არაეფექტურად გამოიძია, კერძოდ: ვერ უზრუნველყო საზღვრებს გარეთ არსებული შესაბამისი მტკიცებულების უსაფრთხოება, რაც განსაზღვრულია ურთიერთდახმარების შესახებ საერთაშორისო კონვენციით: მიჩნეულია დარღვევად.

რანცევი კვიპროსისა და რუსეთის წინააღმდეგ
Rantsev v. Cyprus and Russia, no. 25965/04, no. 126

სასამართლო-სამედიცინო დასკვნებზე არსებული წესების შეუსაბამობა: მიჩნეულია დარღვევად.

ევგენია ლაზარი რუმინეთის წინააღმდეგ
Eugenia Lazr v. Romania, no. 32146/05, no. 127

პოლიციის საპატიმროში ეჭვმიტანილის სტატუსით დაკავებული ბოშის სავარაუდო თვითმკვლელობა, რის თაობაზეც ჩატარდა არაეფექტური და მიკერძოებული გამოძიება: მიჩნეულია დარღვევად.

მიჟიგაროვა სლოვაკეთის წინააღმდეგ
Miigarova v. Slovakia, no. 74832/01, no. 136

პოლიციის საპატიმროში დაკავებული ყრუ-მუნჯი პირის მიმართ არაადეკვატური სამედიცინო მომსახურების განევა: მიჩნეულია დარღვევად.

იასინსკისი ლატვიის წინააღმდეგ
Jasinskis v. Latvia, no. 45744/08, no. 136

მუსლი 3

არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა

დაკავებული პირის იძულება, ეტარებინა სპეციალური ნაქსოვი „შლემი“ (ბალაკლავა) თავისი საკნიდან გამოსვლისას: მიჩნეულია დარღვევად.

პეტო პეტკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ
Petyo Petkov v. Bulgaria, no. 32130/03, no. 126

ადმინისტრაციული პატიმრობის მისჯა თავშესაფრის მაძიებელი ბავშვებისათვის: მიჩნეულია დარღვევად.

მუსხაჯიევა და სხვები ბელგიის წინააღმდეგ
Muskhadzhiyeva and Others v. Belgium, no. 41442/07, no. 126

ლატაკი პატიმრისათვის კბილის პროთეზის დამზადებაზე უარის თქმა: მიჩნეულია დარღვევად.

ვ.დ. რუმინეთის წინააღმდეგ
V.D. v. Romania, no. 7078/02, no. 127

მხედველობის პრობლემების მქონე პატიმრისათვის სათვალის არმიცემა: მიჩნეულია დარღვევად.

სლიუსარევი რუსეთის წინააღმდეგ
Slyusarev v. Russia, no. 60333/00, no. 129

პოლიციის იზოლატორსა და წინასწარი დაკავების საკნებში ხანგრძლივად არსებული ცუდი პირობები: მიჩნეულია დარღვევად.

ოგიჩა რუმინეთის წინააღმდეგ
Ogic v. Romania, no. 24708/03, no. 130

პოლიციამ ეჭვმიტანილზე ფიზიკური დაზიანების მუქარით დაადგინა დაკარგული ბავშვის ადგილსამყოფელი: მიჩნეულია დარღვევად.

გეფგენი გერმანიის წინააღმდეგ
Göfgen v. Germany [GC], no. 22978/05, no. 131

საპატიმრო დანესებულებაში არსებული არაადეკვატური სამედიცინო მომსახურება და სააპელაციო წესით საქმის განხილვისას სასამართლოში რკინის გალიების არსებობა: ორივე შემთხვევა მიჩნეულია დარღვევად.

აშოტ ჰარუტინიანი სომხეთის წინააღმდეგ
Ashot Harutyunyan v. Armenia, no. 34334/04, no. 131

ციხეში მყოფი პატიმრისათვის არაადეკვატური სამედიცინო მომსახურების განწვევა 14 დღეზე ნაკლები პერიოდის განმავლობაში: არ არის მიჩნეული დარღვევად.

გავრილიცა რუმინეთის წინააღმდეგ
Gavriliuz v. Romania, no. 10921/03, no. 131

არაადამიანური მოპყრობის საქმეებზე ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაცემული კომპენსაცია მნიშვნელოვნად დაბალია სასამართლოს მიერ დადგენილ მინიმალურ ზღვარზე: მიჩნეულია დარღვევად.

კიორაპი მოლდოვას წინააღმდეგ
Ciorap v. Moldova (no. 2), no. 7481/06, no. 132

ადგილობრივმა სასამართლოებმა სამედიცინო დასკვნა, რომ პატიმარს ესაჭიროებოდა სპეციალურ კლინიკაში გადაყვანა, არაჯეროვნად შეაფასეს: მიჩნეულია დარღვევად.

ქსიროსი საბერძნეთის წინააღმდეგ
Xiros v. Greece, no. 1033/07, no. 133

საპატიმროში პასიური მწვევლი პატიმრის ყოფნა: მიჩნეულია დარღვევად.

ფლორეა რუმინეთის წინააღმდეგ
Florea v. Romania, no. 37186/03, no. 133

კერძო პირების მიერ განხორციელებული რელიგიურად მოტივირებული თავდასხმები “ჰარი კრიშნას” მიმდევრებზე: მიჩნეულია დარღვევად.

მილანოვიჩი სერბეთის წინააღმდეგ
Milanović v. Serbia, no. 44614/07, no. 136

პოზიტიური ვალდებულებები

დაკავებულ პირთა ექსტრადიცია ერაყში, მიუხედავად იქ მოქმედი სასჯელის უმაღლესი ზომისა (იგულისხმება სიკვდილით დასჯა): მიჩნეულია დარღვევად.

ალ-საადოონი და მუფდჰი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ
Al-Saadoon and Mufdhi v. the United Kingdom, no. 61498/08, no. 128

პოლიციის საპატიმროში მოთავსებულ დაჭრილ (ტრავმირებულ) პირს არ აღმოუჩინეს ჯეროვანი სამედიცინო დახმარება: მიჩნეულია დარღვევად.

უმარ კარატეპე თურქეთის წინააღმდეგ
Umar Karatepe v. Turkey, no. 20502/05, no. 134

დაკავებულ პირს ციხეში მოთავსებისას არ ჩაუტარდა გამოკვლევა ტუბერკულოზზე: მიჩნეულია დარღვევად.

დობრი რუმინეთის წინააღმდეგ
Dobri v. Romania, no. 25153/04, no. 136

გაძევება ან ექსტრადიცია

პიროვნების სავარაუდო დეპორტაცია ირანში, სადაც მას არაადამიანურად ეპყრობოდნენ საპატიმროში ირანის მთავრობის კრიტიკისათვის: დეპორტაციის შემთხვევაში დადგინდება დარღვევა.

რ. კ. შვედეთის წინააღმდეგ
R.C. v. Sweden, no. 41827/07, no. 128

დაქირავებულ მკვლელობაში მსჯავრდებული პირის სავარაუდო ექსტრადიცია კოლუმბიაში: ექსტრადიციის შემთხვევაში დადგინდება დარღვევა.

კლაინი რუსეთის წინააღმდეგ
Klein v. Russia, no. 24268/08, no. 129

არაადამიანური მოპყრობის რისკი იმ შემთხვევაში, თუ ქმართან განქორწინებული ქალბატონი დეპორტირებული იქნება ავღანეთში: დეპორტაციის შემთხვევაში დადგინდება დარღვევა.

ნ. შვედეთის წინააღმდეგ
N. v. Sweden, no. 23505/09, no. 132

ოპოზიციის ტაჯიკი ლიდერის უკანონო გადაყვანა ტაჯიკეთში, მის მიმართ არაადამიანური მოპყრობის განხორციელების რისკის შეფასების გარეშე: მიჩნეულია დარღვევად.

ისკანდაროვი რუსეთის წინააღმდეგ
Iskandarov v. Russia, no. 17185/05, no. 133

მუხლი 4

გამოყენება

ადამიანების ტრეფიკინგი: ამ შემთხვევაში გამოყენებულ იქნა კონვენციის მე-4 მუხლი.

რანცევი კვიპროსისა და რუსეთის წინააღმდეგ
Rantsev v. Cyprus and Russia, no. 25965/04, no. 126

პოზიტიური ვალდებულებები

კვიპროსმა არ დაადგინა შესაბამისი ზომები ადამიანების ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში ან არ გაატარა ოპერატიული ღონისძიებები მსხვერპლთა დასაცავად: მიჩნეულია დარღვევად.

რუსეთის სახელმწიფომ თავის ტერიტორიაზე არაეფექტური გამოძიება ჩაატარა არალეგალურად მოვაჭრეების მიერ ახალგაზრდა ქალბატონის დაქირავების ფაქტზე: მიჩნეულია დარღვევად.

*რანცევი კვიპროსისა და რუსეთის წინააღმდეგ
Rantsev v. Cyprus and Russia, no. 25965/04, no. 126*

მუხლი 5

კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი

პირის თავისუფლება

პირის ფარულად დაკავება და უკანონოდ გადაყვანა ექსტრადიციის პროცედურების გასავლელად: მიჩნეულია დარღვევად.

*ისკანდაროვი რუსეთის წინააღმდეგ
Iskandarov v. Russia, no. 17185/05, no. 133*

თავისუფლების შეზღუდვა კანონით დადგენილი პროცედურები

ღია წყლებში უცხო ქვეყნის გემზე ეკიპაჟის იძულებითი პატიმრობა: მიჩნეულია დარღვევად.

*მედვედევი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ
Medvedyev and Others v. France [GC], no. 3394/03, no. 128*

სახელმწიფომ მკაცრად ვერ დაიცვა შიდა კანონმდებლობის ნორმები, რომლებითაც წესრიგდებოდა პირის დაკავება მის დეპორტაციამდე: მიჩნეულია დარღვევად.

*იუსიჩი შვეიცარიის წინააღმდეგ
Jusic v. Switzerland, no. 4691/06, no. 136*

კანონიერი დაპატიმრება ან დაკავება

აპლიკანტის ორდლიანი დაკავება ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, მას შემდეგ, რაც მის მიმართ გამოიტანეს საბოლოო განაჩენი, რომლის საფუძველზეც იგი უნდა გათავისუფლებულიყო: მიჩნეულია დარღვევად.

ოგიჩა რუმინეთის წინააღმდეგ
Ogic v. Romania, no. 24708/03, no. 130

არასრულწლოვანთა თვითნებური დაკავება არასრულწლოვანთა ჰოლდინგურ დანესებულებაში: მიჩნეულია დარღვევად.

იჩინი და სხვები უკრაინის წინააღმდეგ
Ichin and Others v. Ukraine, nos. 28189/04 and 28192/04, no. 136

კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის „b“ ქვეპუნქტი

სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა

კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა

თანხის (ვალის) გადაუხდელობის გამო პირს დააკისრეს პატიმრობა, რაც არაპროპორციული სასჯელია და გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ დაირღვეოდა თავდებით გათავისუფლების პირობები: მიჩნეულია დარღვევად.

გატი მალტის წინააღმდეგ
Gatt v. Malta, no. 28221/08, no. 132

კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის „e“ ქვეპუნქტი

სულიერად დაავადებული პირები

ფსიქიატრიულ კლინიკაში პირის თოთხმეტდღიანი დაკავება, რათა მომზადებულიყო ფსიქიატრიული დასკვნა, რომელიც დაკავშირებული იყო პირის მიმართ ბოროტი მიზნებით (malicious-prosecution charge) სისხლისსამართლებრივ დევნასთან: მიჩნეულია დარღვევად.

კ.ბ. რუმინეთის წინააღმდეგ
C.B. v. Romania, no. 21207/03, no. 129

კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილი

მოსამართლის ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის წინაშე დროული წარდგენა

მოსამართლის წინაშე პირის პირველად წარდგენა წინასწარ პატიმრობაში ყოფნის 13 დღის შემდეგ, რაც ღია წყლებში გემის დაპატიმრებას მოჰყვება: არ არის მიჩნეული დარღვევად.

მედვედევი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ
Medvedyev and Others v. France [GC], no. 3394/03, no. 128

დაკავებული პირი წარედგინა პროკურორს, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების დაქვემდებარებაში იყო და წარმოადგენდა მხარეს: მიჩნეულია დარღვევად.

მულინი საფრანგეთის წინააღმდეგ
Moulin v. France, no. 37104/06, no. 135

სასამართლო განხილვამდე გათავისუფლება

სასამართლოზე გამოცხადების გარანტიები

ზღვის დაბინძურების გამო გემის კაპიტნის თავდებით გათავისუფლების უზრუნველსაყოფად სასამართლოსთვის მიცემული პირობის (იგულისხმება ხელწერილი გაუსვლელობის შესახებ) სანდოობის ხარისხი: არ არის მიჩნეული დარღვევად.

მანგურასი ესპანეთის წინააღმდეგ
Mangouras v. Spain [GC], no. 12050/04, no. 133

კონვენციის მე-5 მუხლის IV ნაწილი

საქმის განხილვის პროცედურული გარანტიები

მოსამართლის უარი ბრალდებულის იურიდიული წარმომადგენლისათვის დაერთო ნება, დასწრებოდა ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივრის განხილვას, რომელიც ეხებოდა ბრალდებულის თავდებით გათავისუფლების ბრძანებას: მიჩნეულია დარღვევად.

ალენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ
Allen v. the United Kingdom, no. 18837/06, no. 128

კონვენციის მე-5 მუხლის V ნაწილი

კომპენსაცია

უარი კომპენსაციის გაცემაზე, რომელიც უკანონო პატიმრობის გამო უნდა მიეღო განმცხადებელს, რაც განაპირობა იმან, რომ მან ვერ დაამტკიცა რაიმე არამატერიალური სახის ზიანი: მიჩნეულია დარღვევად.

დანევი ბულგარეთის წინააღმდეგ
Danev v. Bulgaria, no. 9411/05, no. 133

მუხლი 6

კონვენციის მე-6 მუხლი (სამოქალაქო საქმეები)

გამოყენება

სასამართლო განხილვები საელჩოს თანამშრომლის უკანონოდ გათავისუფლების გამო: გამოიყენება კონვენციის მე-6 მუხლი.

ჩუდაკი ლიტვის წინააღმდეგ
Cudak v. Lithuania [GC], no. 15869/02, no. 128

სასამართლო განხილვები აპლიკანტის სახელის რეგისტრაციის თაობაზე, რომელიც პოლიციის საიდუმლო ფაილში იყო ჩანერილი და ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევა: გამოიყენება კონვენციის მე-6 მუხლი.

უჟუკაუსკასი ლიტვის წინააღმდეგ
Ušukauskas v. Lithuania, no. 16965/04, no. 132

სასამართლოს უფლება

საარბიტრაჟო სასამართლოში საქმის განხილვის ვალდებულება, რაც მესამე მხარეთა შეთანხმების საფუძველი იყო: მიჩნეულია დარღვევად.

სუდა ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ
Suda v. the Czech Republic, no. 1643/06, no. 134

სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება

ერთი ეკლესიისათვის სასამართლოსადმი მიმართვის აკრძალვა მეორე ეკლესიის წინააღმდეგ დავის წარმოებასთან დაკავშირებით: მიჩნეულია დარღვევად.

Sambata Bihor Greco-კათოლიკური ეპარქია რუმინეთის წინააღმდეგ
Sambata Bihor Greco-Catholic Parish v. Romania, no. 48107/99, no. 126

უსამართლოდ გათავისუფლებული საელჩოს თანამშრომლისათვის სახელმწიფო იმუნიტეტის მინიჭება სასამართლო განხილვისას: მიჩნეულია დარღვევად.

ჩუდაკი ლიტვის წინააღმდეგ
Cudak v. Lithuania [GC], no. 15869/02, no. 128

სარჩელის მთლიან ღირებულებაზე დაყრდნობით სასამართლოს ბაჟის ოდენობის დადგენა, რომელიც უნდა გადაიხადოს გაკოტრებული კომპანიის კრედიტორმა: არ არის მიჩნეული დარღვევად.

ურბანეკი ავსტრიის წინააღმდეგ
Urbanek v. Austria, no. 35123/05, no. 136

ადმინისტრაციულ სასამართლოებში გასაჩივრების უფლების გარეშე ციხის ადმინისტრაციის განმეორებითი უარი, რაც პატიმრისათვის დროებითი შვებულების მიცემას ეხებოდა: მიჩნეულია დარღვევად (საქმე გადაცემულია დიდ პალატაში განსახილველად).

ბულუა ლუქსემბურგის წინააღმდეგ
Boulois v. Luxembourg, no. 37575/04, no. 136

საქმის სამართლიანი განხილვის უფლება

გაზეთის ფოტორეპორტიორმა და საგამომცემლო კომპანიამ, რომლებიც ერთობლივად არიან პასუხისმგებელი მიყენებული ზიანის გამო, არგუმენტები (დასაბუთება) ვერ წარმოადგინეს: მიჩნეულია დარღვევად.

კომპანია Antika and "R" რუმინეთის წინააღმდეგ
Anticz and "R" Company v. Romania, no. 26732/03, no. 128

საგრაფო სასამართლოების მიერ კანონის ერთგვაროვანი განმარტების არარსებობა, რომლებიც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებენ სამსახურიდან კოლექტიური გათავისუფლების თაობაზე: მიჩნეულია დარღვევად.

შტეფანიცა და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ
Etfeznicz and Others v. Romania, no. 38155/02, no. 135

კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლო

რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ, რომელიც მოქმედებდა მასზე დაკისრებული ადმინისტრაციული უფლებამოსილების ფარგლებში, მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც თავისავე თავს გადაუხანია საქმე სასამართლო გადაწყვეტილების მისაღებად: მიჩნეულია დარღვევად.

DMD ჯგუფი, ა.ს., სლოვაკეთის წინააღმდეგ
DMD Group, a.s., v. Slovakia, no. 19334/03, no. 134

კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი (სისხლის სამართლის საქმეები)

გამოყენება

მტკიცება გამომძიებელ-მოსამართლის მიერ საქმის მიუკერძოებელი განხილვის არარსებობის თაობაზე: გამოიყენება კონვენციის მე-6 მუხლი.

ვერა ფერნანდეს-ჰუიდობრო ესპანეთის წინააღმდეგ
Vera Fernandez-Huidobro v. Spain, no. 74181/01, no. 126

ექვმიტანილის თვითღიარება საგზაო რეიდის დროს: გამოიყენება კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

ალექსანდრე ზაიჩენკო რუსეთის წინააღმდეგ
Aleksandr Zaichenko v. Russia, no. 39660/02, no. 127

უცხოელი მსჯავრდებულის გადაყვანა თავის სამშობლოში, რომელიც განხორციელდა მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ საერთაშორისო კონვენციის საფუძველზე, მას შემდეგ, რაც გენერალური პროკურორისგან მიღებულ იქნა გარანტიები: გამოიყენება კონვენციის მე-6 მუხლი.

ბუიენი გერმანიის წინააღმდეგ
Buijen v. Germany, no. 27804/05, no. 129

სასამართლოს ხელმისაწვდომობა

გადაწყვეტილების გასაჩივრების შეუძლებლობა, რომელიც ეხებოდა უცხოელი მსჯავრდებულის გადაყვანას თავის სამშობლოში, რამდენადაც ის დაკავშირებული იყო გენერალური პროკურორის მიერ გაცემულ გარანტიასთან: მიჩნეულია დარღვევად.

ბუიენი გერმანიის წინააღმდეგ
Buijen v. Germany, no. 27804/05, no. 129

საქმის სამართლიანი განხილვის უფლება

პოლიციაში გაკეთებული აღიარების საფუძველზე წაყენებული ბრალდება, ვიდრე გამოეცხადებოდა გაფრთხილება: მიჩნეულია დარღვევად.

ალექსანდრე ზაიჩენკო რუსეთის წინააღმდეგ
Aleksandr Zaichenko v. Russia, no. 39660/02, no. 127

ნებაყოფლობითი და ცალსახა უარი ადვოკატის დახმარებაზე პოლიციის იზოლატორში პატიმრობის დროს: არ არის მიჩნეული დარღვევად.

იოლდაში თურქეთის წინააღმდეგ
Yoldaş v. Turkey, no. 27503/04, no. 127

ბრალდება ძირითადად ეფუძნებოდა მოწმეთა ჩვენებებს, რომლებიც მოგვიანებით თავად მოწმეებმა უარყვეს: მიჩნეულია დარღვევად.

ორჰან კაკანი თურქეთის წინააღმდეგ
Orhan Cacan v. Turkey, no. 26437/04, no. 128

ბრალდება, რომელიც წარდგენილ იქნა უსამართლოდ ჩატარებული ამოცნობის შედეგად: მიჩნეულია დარღვევად.

ლასკა და ლიკა ალბანეთის წინააღმდეგ
Laska and Lika v. Albania, nos. 12315/04 and 17605/04, no. 129

იძულების წესით მოპოვებული მტკიცებულებების სასამართლოზე გამოყენება: არ არის მიჩნეული დარღვევად.

გეფგენი გერმანიის წინააღმდეგ
Göfgen v. Germany [GC], no. 22978/05, no. 131

ვიდეოაპარატურის ექსპლოატაციაზე პასუხისმგებელ პოლიციის ოფიცერს უფლება ჰქონდა, მარტო დარჩენილიყო მსაჯულთა სასამართლოზე მაშინ, როდესაც მსაჯულები განიხილავდნენ მნიშვნელოვან ვიდეო მტკიცებულებას: არ არის მიჩნეული დარღვევად.

სზიპუსზი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ
Szypus v. the United Kingdom, no. 8400/07, no. 133

სისხლისსამართლებრივი ბრალდება, რომელიც ეფუძნებოდა ბრალდებულის მიერ პოლიციის საპატიმროში ფიცის ქვეშ დადებულ აღიარებას, რაც, როგორც წესი, განკუთვნილი იყო მოწმეებისათვის: მიჩნეულია დარღვევად.

ბრუსკო საფრანგეთის წინააღმდეგ
Brusco v. France, no. 1466/07, no. 134

პოლიციის მიერ ჩატარებული შენიღბული (ფარული) ოპერაცია, რომელსაც შედეგად მოჰყვა ნარკოტიკებით უკანონოდ ვაჭრობაში ეჭვმიტანილი პირების გასამართლება: არ არის მიჩნეული დარღვევად.

ბანნიკოვა რუსეთის წინააღმდეგ
Bannikova v. Russia, no. 18757/06, no. 135

სააპელაციო სასამართლოში საქმის საჯაროდ განხილვის არარსებობა, სადაც უნდა გადანყვეტილიყო სადავო საკითხები: მიჩნეულია დარღვევად.

გარსია ჰერნანდესი ესპანეთის წინააღმდეგ
Garcia Hernandez v. Spain, no. 15256/07, no. 135

ადეკვატური პროცედურული გარანტიების არარსებობა, რამაც შესაძლებლობა არ მისცა ბრალდებულს, გაეგო მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი ვერდიქტის დასაბუთება: მიჩნეულია დარღვევად.

თექსეთი ბელგიის წინააღმდეგ
Taxquet v. Belgium [GC], no. 926/05, no. 135

მხარეთა თანასწორობა

უზენაესმა სასამართლომ სამართლის საკითხებზე საჩივარი განიხილა საქმის წინასწარ მოსმენაზე პროკურორის თანდასწრებით, რასაც არ ესწრებოდა ბრალდებული: მიჩნეულია დარღვევად.

ჟუკი უკრაინის წინააღმდეგ
Zhuk v. Ukraine, no. 45783/05, no. 134

დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო

გამოძიების მიკერძოებულად წარმართვა, რომელიც გამოსწორდა ახალი გამოძიების საშუალებით, რაც სხვა რაიონული სასამართლოს მოსამართლემ წარმართა: არ არის მიჩნეული დარღვევად.

ვერა ფერნანდეს-ჰუიდობრო ესპანეთის წინააღმდეგ
Vera Fernandez-Huidobro v. Spain, no. 74181/01, no. 126

მოსამართლის მიერ ერთდროულად საგამოძიებო პროცესისა და შემდეგ – სასამართლო განხილვების წარმართვა ერთი და იმავე არასრულწლოვანი პირის მიმართ: მიჩნეულია დარღვევად.

ადამკევიჩი პოლონეთის წინააღმდეგ
Adamkiewicz v. Poland, no. 54729/00, no. 128

წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ გადანყვეტილების მიღება, ბრალდებულის ბრალეულობის შემოწმების გარეშე: მიჩნეულია დარღვევად.

ჩესნე საფრანგეთის წინააღმდეგ
Chesne v. France, no. 29808/06, no. 129

დეფამაციის საქმის განხილვა იმავე მოსამართლის მიერ, რომელიც ადრე ამავე საკითხზე იხილავდა სამოქალაქო სარჩელს: მიჩნეულია დარღვევად.

ფატულაევი აზერბაიჯანის წინააღმდეგ
Fatullayev v. Azerbaijan, no. 40984/07, no. 129

სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით არსებული ეჭვი, რაც განპირობებული იყო იმით, რომ ბრალდებულისათვის წინასწარი პატიმრობის საკითხზე გადაწყვეტილების მიმღები ორი მოსამართლე შემდგომში იყო იმ სამკაცციანი კოლეგიის შემადგენლობაში, რომელსაც უნდა გამოეტანა განაჩენი ბრალდებულისათვის: მიჩნეულია დარღვევად.

კარდონა სერატი ესპანეთის წინააღმდეგ
Cardona Serrat v. Spain, no. 38715/06, no. 134

რაიონულ სასამართლოებში მყოფი ასესორების (ასისტენტი მოსამართლეების) მიუკერძოებლობის გარანტიების არარსებობა: მიჩნეულია დარღვევად.

ჰენრიკ ურბანი და რისზარდ ურბანი პოლონეთის წინააღმდეგ
Henryk Urban and Ryszard Urban v. Poland, no. 23614/08, no. 135

კონვენციის მე-6 მუხლის II ნაწილი

უდანაშაულობის პრეზუმფცია

გუბერნატორის პოსტზე არჩევნებში მონაწილე კანდიდატმა ტელევიზიაში გამოსვლისას საოლქო პროკურორის მიმართ გამოთქვა მტრული შენიშვნები, რითაც ბრალი დასდო მას გაუპატიურებაში: მიჩნეულია დარღვევად.

კუზმინი რუსეთის წინააღმდეგ
Kuzmin v. Russia, no. 58939/00, no. 128

მაღალჩინოსანი საჯარო მოხელის მიმართ წარმოებული სისხლისსამართლებრივი დევნა, რომელიც აღიძრა მის წინააღმდეგ ადმინისტრაციული მოკვლევისას შედგენილი მიკერძოებული დასკვნების საფუძველზე: მიჩნეულია დარღვევად.

პონსელეტი ბელგიის წინააღმდეგ
Poncelet v. Belgium, no. 44418/07, no. 128

გენერალურმა პროკურორმა ბრალის ოფიციალურ წარდგენამდე გააკეთა განცხადება, სადაც მიუთითა, რომ სავარაუდო დანაშაულის საქმის მასალები უკვე დადგენილი იყო: მიჩნეულია დარღვევად.

ფატულაევი აზერბაიჯანის წინააღმდეგ
Fatullayev v. Azerbaijan, no. 40984/07, no. 129

სააპელაციო განხილვებისას რკინის გალიის მუდმივი გამოყენება, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე: არ არის მიჩნეული დარღვევად.

აშოტ ჰარუთიანიანი სომხეთის წინააღმდეგ
Ashot Harutyunyan v. Armenia, no. 34334/04, no. 131

აპლიკანტს, რომელიც მტკიცებულებათა არარსებობის გამო გაამართლეს, წინასწარი პატიმრობის გამო კომპენსაციის მინიჭებაზე უარი ეთქვა: მიჩნეულია დარღვევად.

ტენდამი ესპანეთის წინააღმდეგ
Tendam v. Spain, no. 25720/05, no. 132

კონვენციის მე-6 მუხლის III ნაწილი

დაცვის უფლება

პოლიციის განყოფილებაში დაკავებულ პირს დაკითხვის წინ არ გააცნეს თავისი უფლება, რომლის თანახმადაც, მას უფლება ჰქონდა თავისივე თავის წინააღმდეგ არ მიეცა ჩვენება და ესარგებლა დუმის უფლებით: მიჩნეულია დარღვევად.

ბრუსკო საფრანგეთის წინააღმდეგ
Brusco v. France, no. 1466/07, no. 134

კონვენციის მე-6 მუხლის III ნაწილის „c“ ქვეპუნქტი

ადვოკატის უფლება

იურიდიული დახმარების არარსებობა პოლიციის მიერ მოწყობილი საგზაო რეიდის დროს: არ არის მიჩნეული დარღვევად.

ალექსანდრე ზაიჩენკო რუსეთის წინააღმდეგ
Aleksandr Zaichenko v. Russia, no. 39660/02, no. 127

ნებაყოფლობითი და ცალსახა უარი ადვოკატის დახმარებაზე პოლიციის იზოლაცორში პატიმრობის დროს: არ არის მიჩნეული დარღვევად.

იოლდაში თურქეთის წინააღმდეგ
Yoldaş v. Turkey, no. 27503/04, no. 127

პოლიციამ აღიარებითი ჩვენების მტკიცებულებად გამოყენების გამო, არასრულწლოვანს უარი უთხრა ადვოკატზე: მიჩნეულია დარღვევად.

ადამკევიჩი პოლონეთის წინააღმდეგ
Adamkiewicz v. Poland, no. 54729/00, no. 128

სააპელაციო წესით საქმის განხილვის დაწყებამდე პირს უარი ეთქვა პირად კონტაქტზე იურიდიულ მრჩეველთან, რომელსაც უნდა წაეყვანა მისი საქმე სასამართლოში მეორე ადვოკატის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე: მიჩნეულია დარღვევად.

სახნოვსკი რუსეთის წინააღმდეგ
Sakhnovskiy v. Russia [GC], no. 21272/03, no. 135

კონვენციის მე-6 მუხლის III ნაწილის „d“ ქვეპუნქტი

მონმეთა დაკითხვა

ბრალდებულს არ მიეცა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მთავარი მონმის ფვარედინი დაკითხვის ან მისი მტკიცებულების გაპროტესტების საშუალება მის წინააღმდეგ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე: მიჩნეულია დარღვევად.

ვ.დ. რუმინეთის წინააღმდეგ
V.D. v. Romania, no. 7078/02, no. 127

ბრალდება, რომელიც მეტწილად ეფუძნებოდა მონმეთა ჩვენებებს, მოგვიანებით თავად მონმეებმა უარყვეს: მიჩნეულია დარღვევად.

ორჰან კაკანი თურქეთის წინააღმდეგ
Orhan Cacan v. Turkey, no. 26437/04, no. 128

მუხლი 7

Nullum crimen sine lege

პირის გასამართლება II მსოფლიო ომის დროს ჩადენილი დანაშაულობების გამო, 1993 წელს შემოღებული კანონმდებლობის შესაბამისად: არ არის მიჩნეული დარღვევად.

კონონოვი ლატვიის წინააღმდეგ
Kononov v. Latvia [GC], no. 36376/04, no. 130

მუხლი 8

გამოყენება

ერთსქესიან წყვილთა სტაბილური ურთიერთობა–თანაცხოვრება წარმოადგენს “ოჯახურ ცხოვრებას”: გამოიყენება კონვენციის მე-8 მუხლი.

შალკი და კოპფი ავსტრიის წინააღმდეგ
Schalk and Kopf v. Austria, no. 30141/04, no. 131

პირადი ცხოვრება

სამართალდარღვევის გამო პირთა შეჩერებისა და ჩხრეკის უფლება ყოველგვარი დასაბუთებული ეჭვის გარეშე: მიჩნეულია დარღვევად.

გილანი და კვინტონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ
Gillan and Quinton v. the United Kingdom, no. 4158/05, no. 126

ოფიციალურ დოკუმენტში პირის სახელისა და გვარის ჩანერის მოთხოვნა მხოლოდ თურქული ანბანით: არ არის მიჩნეული დარღვევად.

ქემალ თაშქინი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ
Kemal Taekin and Others v. Turkey, nos. 30206/04 et al., no. 127

ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირის მიმართ GPS-ის (Global Positioning System) კოსმოსური თანამგზავრიდან თვალთვალი: არ არის მიჩნეული დარღვევად.

უზუნი გერმანიის წინააღმდეგ
Uzun v. Germany, no. 35623/05, no. 133

ერთ-ერთ კომპანიასთან მაქინაციურ გარიგებებში ჩართული ყოფილი ბუღალტრის მიერ გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე გამოქვეყნებული საგაზეთო სტატია, რომელიც ადანაშაულებდა უფროსი მოსამართლის მეუღლეს: არ არის მიჩნეული დარღვევად.

პოლანკო ტორესი და მოვილა პოლანკო ესპანეთის წინააღმდეგ
Polanco Torres and Movilla Polanco v. Spain, no. 34147/06, no. 133

უფლებამოსილმა პირებმა არ აღასრულეს სასამართლოს დადგენილება, რომელიც ეხებოდა მოძალადე ქმრისაგან განმცხადებლის დაცვას: მიჩნეულია დარღვევად.

ა. ხორვატიის წინააღმდეგ
A v. Croatia, no. 55164/08, no. 134

მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება, რაც ნაწილობრივ მის პირად ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული: მიჩნეულია დარღვევად.

ოზპინარი თურქეთის წინააღმდეგ
Ozpinar v. Turkey, no. 20999/04, no. 134

უნივერსიტეტის პროფესორის ბრალეულად ცნობა სასამართლოს განკარგულების აღუსრულებლობის გამო, რომელიც ავალდებულებდა მას საკვლევი მასალების ხელმისაწვდომობას: არ არის მიჩნეული დარღვევად (საქმე განსახილველად გადაეცა დიდ პალატას).

გილბერგი შვედეთის წინააღმდეგ
Gillberg v. Sweden, no. 41723/06, no. 135

ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლების პასუხისმგებლობა, ეფექტურად აწარმოონ სისხლისსამართლებრივი მოკვლევა ფეხმძიმე ქალებისათვის სახლში მშობიარობისას სამედიცინო დახმარების უფლების ჩამორთმევის თაობაზე: მიჩნეულია დარღვევად.

ტერნოვსკი უნგრეთის წინააღმდეგ
Ternovszky v. Hungary, no. 67545/09, no. 136

ირლანდიაში აბორტის გამოყენების აკრძალვასთან დაკავშირებით: მიჩნეულია დარღვევად / არ არის მიჩნეული დარღვევად.

A., B. და C. ირლანდიის წინააღმდეგ
A, B and C v. Ireland [GC], no. 25579/05, no. 136

პირადი და ოჯახური ცხოვრება

საქმე ეხება ბავშვის მიმართ განხორციელებულ სავარაუდო ძალადობას, რის შემდეგაც მსხვერპლის სამედიცინო შემოწმება ჩატარდა მშობლის თანხმობის, ან სასამართლოს განკარგულების გარეშე; ასევე რამდენჯერმე გადაიდო მსხვერპლის ექსპერტთან მიყვანა, მისთვის მიყენებული ტრავმების მიზეზის დასადგენად: მიჩნეულია დარღვევად.

მ.ა.კ. და რ.კ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ
M.A.K. and R.K. v. the United Kingdom, nos. 45901/05 and 40146/06, no. 128

საცხოვრისთან დაკავშირებული საკითხების მონესრიგების არარსებობა იმ პირთა მიმართ, რომლებიც „ამონერეს“ მუდმივ მაცხოვრებელთა სარეგისტრაციო სიიდან სლოვენის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ: მიჩნეულია დარღვევად (საქმე განსახილველად გადაეცა დიდ პალატას).

კურიჩი და სხვები სლოვენის წინააღმდეგ
Kurija and Others v. Slovenia, no. 26828/06, no. 132

საზღვარგარეთ შემდგარი ქორწინების რეგისტრაციის გაჭიანურება: მიჩნეულია დარღვევად.

დადოუჩი მალტის წინააღმდეგ
Dadouch v. Malta, no. 38816/07, no. 132

ეკლესიის მომსახურე პერსონალის სამსახურიდან დათხოვნა ცოლქმრული ღალატის გამო: მიჩნეულია დარღვევად/არ არის მიჩნეული დარღვევად.

ობსტი გერმანიის წინააღმდეგ
შიუთი გერმანიის წინააღმდეგ
Obst v. Germany, no. 425/03, no. 133
Schth v. Germany, no. 1620/03, no. 133

ოჯახური ცხოვრება

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელმა ვერ შეაფასა ის რისკები, რაც არსებობდა ოსტეოპოროზით დაავადებული ბავშვისათვის: მიჩნეულია დარღვევად.

ა.დ. და ო.დ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ
A.D. and O.D. v. the United Kingdom, no. 28680/06, no. 128

დაკავების ბრძანება, რომელიც უკრძალავს და-ძმას, ერთად გაატარონ დრო: მიჩნეულია დარღვევად.

მუსტაფა და არმალან აკინები თურქეთის წინააღმდეგ
Mustafa and Armagan Akın v. Turkey, no. 4694/03, no. 129

მამას თავისი ვაჟის დაბრუნების თაობაზე არსებული სასამართლო განხილვებისას შვილთან, რომელიც დედამ ნაიყვანა საზღვარგარეთ, არ ჰქონდა კონტაქტის უფლების უზრუნველყოფის საშუალება: მიჩნეულია დარღვევად.

მაკრეადი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ
Macready v. the Czech Republic, nos. 4824/06 and 15512/08, no. 129

მიმღები მშობლების მიერ შვილად აყვანის თაობაზე შეტანილი განაცხადის განუხილველობა, ვიდრე გამოცხადდებოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ბავშვი თავისუფალი იყო გასაშვილებლად: მიჩნეულია დარღვევად.

მორეტი და ბენედეტი იტალიის წინააღმდეგ
Moretti and Benedetti v. Italy, no. 16318/07, no. 129

განკარგულება, რომლითაც გაუქმდა შვილად აყვანა, რაც მშვილებელი ცოლ-ქმრის განქორწინებას მოჰყვა: მიჩნეულია დარღვევად.

კუროჩკინი უკრაინის წინააღმდეგ
Kurochkin v. Ukraine, no. 42276/08, no. 130

მამის სამშობლოში დედისა და შვილის დაბრუნების თაობაზე გაცემული განკარგულება, საიდანაც ისინი შეცდომით გაასახლეს: იძულებითი დაბრუნება შესაძლოა, ჩართვალს დარღვევად.

ნოლინგერი და შურუკი შვეიცარიის წინააღმდეგ
Neulinger and Shuruk v. Switzerland [GC], no. 41615/07, no. 132

ხუთი წლის მანძილზე ხელისუფლების წარმომადგენლები უარს უცხადებდნენ თავშესაფრის მაძიებლებს, გაენაწილებინათ ისინი იმავე კანტონაში, სადაც მათი მეუღლეები ცხოვრობდნენ, რათა შეძლებოდათ ერთად ცხოვრება: მიჩნეულია დარღვევად.

მენგეშა კიმფე შვეიცარიის წინააღმდეგ
აგრაუ შვეიცარიის წინააღმდეგ
Mengesha Kimfe v. Switzerland, no. 24404/05, no. 132
Agraw v. Switzerland, no. 3295/06, no. 132

გადაწყვეტილება განმცხადებლისათვის მშობლის უფლებებისა და ვადებულებების ჩამორთმევის შესახებ და მიმღები მშობლების მიერ მისი ვაჟის შვილად აყვანის დადასტურება: არ არის მიჩნეული დარღვევად.

აუნე ნორვეგიის წინააღმდეგ
Aune v. Norway, no. 52502/07, no. 134

ორივე მშობლის არადაამაკმაყოფილებელი მოპყრობის გამო აპლიკანტის ქალიშვილის დაბრუნებაზე გაიცა განკარგულება, რომელიც გაუქმდა იმ საფუძვლით, რომ დედამ ძალით მოიტაცა თავისი გოგონა: არ არის მიჩნეული დარღვევად.

სერლიდესი პოლონეთის წინააღმდეგ
Serghides v. Poland, no. 31515/04, no. 135

ბიოლოგიურ მამას არ მიეცა საშუალება, კანონიერად დაედასტურებინა თავისი მამობა იმ ბავშვებზე, რომლებიც შეეძინა სხვა მამაკაცთან ქორწინებაში მყოფი ქალბატონისგან: არ არის მიჩნეული დარღვევად.

შავდაროვი ბულგარეთის წინააღმდეგ
Shavdarov v. Bulgaria, no. 3465/03, no. 136

გაძევება

ქვეყანაში დიდი ხნის მანძილზე მცხოვრები ემიგრანტის გაძევება განსაკუთრებით მძიმე და ძალადობრივი დანაშაულის ჩადენის გამო: არ არის მიჩნეული დარღვევად.

მუთლაგი გერმანიის წინააღმდეგ
Mutlag v. Germany, no. 40601/05, no. 128

დეპორტაციის განკარგულება ქვეყანაში დიდი ხნის მანძილზე არალეგალურად მცხოვრები ემიგრანტის შესახებ: დეპორტაცია არ იქნება მიჩნეული დარღვევად.

გეზგინჩი შვეიცარიის წინააღმდეგ
Gezginci v. Switzerland, no. 16327/05, no. 136

საცხოვრისი

სამრეცხაო ოთახის სტატუსის განსაზღვრა, რომელიც ეკუთვნის საერთო საცხოვრებლის შენობის მფლობელებს: მიჩნეულია დაუშვებლად.

ჩელუ რუმინეთის წინააღმდეგ
Chelu v. Romania, no. 40274/04, no. 126

სახელმწიფომ არაადეკვატური ზომები მიიღო საგზაო მოძრაობის ხმაურის შესამცირებლად: მიჩნეულია დარღვევად.

დეისი უნგრეთის წინააღმდეგ
Deis v. Hungary, no. 2345/06, no. 135

კორესპონდენცია

კანონმდებლობის დაცვა და მისი პროპორციულობის გარანტიები შიდა კომუნიკაციების მოსმენისას: არ არის მიჩნეული დარღვევად.

კენედი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ
Kennedy v. the United Kingdom, no. 26839/05, no. 130

პოზიტიური ვალდებულებები

ოფიციალურ ჩანაწერებში (დოკუმენტებში) ეთნიკური წარმომავლობის შეცვლის რეგისტრაციის შეუძლებლობა: მიჩნეულია დარღვევად.

ჩუბოტარუ მოლდოვას წინააღმდეგ
Ciubotaru v. Moldova, no. 27138/04, no. 129

კომპიუტერული კლუბის უკანონო საქმიანობის აკრძალვის შეუძლებლობა, რომელიც კორპუსის მცხოვრებთათვის შემანუხებელ და ხმაურიან გარემოს ქმნიდა: მიჩნეულია დარღვევად.

მილევა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ
Mileva and Others v. Bulgaria, nos. 43449/02 and 21475/04, no. 135

მოძალადე ქმრისაგან ცოლის ჯეროვანი დაცვის შეუძლებლობა: მიჩნეულია დარღვევად.

ჰაიდუოვა სლოვაკეთის წინააღმდეგ
Hajduova v. Slovakia, no. 2660/03, no. 135

ბიოლოგიურ მამას არ მიეცა საშუალება, კანონიერად დაედასტურებინა თავისი მამობა იმ ბავშვებზე, რომლებიც შეეძინა სხვა მამაკაცთან ქორწინებაში მყოფი ქალბატონისგან: არ არის მიჩნეული დარღვევად.

შავდაროვი ბულგარეთის წინააღმდეგ
Shavdarov v. Bulgaria, no. 3465/03, no. 136

მუსლი 9

რელიგიის თავისუფლება

პირადობის მონმობაზე პირის რელიგიური კუთვნილების მითითება: მიჩნეულია დარღვევად.

სინან იშიკი თურქეთის წინააღმდეგ
Sinan Ieik v. Turkey, no. 21924/05, no. 127

რელიგიური მრწამსის გამჟღავნების ვალდებულება, რათა პირს თავიდან აეცილებინა რელიგიური ფიცის დადება სისხლის სამართლის საქმის განხილვისას: მიჩნეულია დარღვევად.

დიმიტრასი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ
Dimitras and Others v. Greece, nos. 42837/06 et al., no. 131

რელიგიური საზოგადოების (გაერთიანების) გაუქმება შესაბამისი და ჯეროვანი საფუძვლების გარეშე: მიჩნეულია დარღვევად.

მოსკოვის „იელოვას მონმეები“ რუსეთის წინააღმდეგ
Jehovah's Witnesses of Moscow v. Russia, no. 302/02, no. 131

რწმენისა და რელიგიის გამჟღავნება

სისხლისსამართლებრივი წესით პირის მიმართ საქმის წარმოება საზოგადოებაში რელიგიური ტანსაცმლის ტარებისათვის: მიჩნეულია დარღვევად.

აჰმედ არსლანი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ
Ahmet Arslan and Others v. Turkey, no. 41135/98, no. 127

ბუდისტური პატიმრისათვის ვეგეტარიანული საკვებით უზრუნველყოფაზე უარის თქმა: მიჩნეულია დარღვევად.

იაკობსკი პოლონეთის წინააღმდეგ
Jakobski v. Poland, no. 18429/06, no. 136

მუსლი 10

გამოხატვის თავისუფლება

ეროტიკული ლიტერატურული ნაშრომის თარგმანის ამოღება და გამომცემლის მიმართ ბრალის წაყენება:გ მიჩნეულია დარღვევად.

აკდაში თურქეთის წინააღმდეგ
Akdaş v. Turkey, no. 41056/04, no. 127

გაზეთის გამომცემელს სოლიდარულად დააკისრეს პასუხისმგებლობა თავის ფოტოკორესპონდენტთან ერთად მესამე მხარის რეპუტაციისათვის ზიანის მიყენების გამო, რომელიც ჩართული იყო უაღრესად გახმაურებულ საქმეში: მიჩნეულია დარღვევად.

ანტიკა და „რ“ კომპანია რუმინეთის წინააღმდეგ
Antic și „R” Company v. Romania, no. 26732/03, no. 128

ჟურნალის რედაქტორთა მიმართ ბრალდების წაყენება თანამდებობის პირის მეგობარი ქალბატონის შესახებ ინფორმაციის დაბეჭდვის გამო: მიჩნეულია დარღვევად.

ფლინკილა და სხვები ფინეთის წინააღმდეგ
Flinkkila and Others v. Finland, no. 25576/04, no. 129

გაზეთის გამომცემლის მიმართ წაყენებული სისხლისსამართლებრივი ბრალდებები იმ სტატიებისათვის, რომელთა გამო კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა მოვლენათა ოფიციალური ვერსია და მთავრობის პოლიტიკა: მიჩნეულია დარღვევად.

ფატულაევი აზერბაიჯანის წინააღმდეგ
Fatullayev v. Azerbaijan, no. 40984/07, no. 129

შერჩეული წარმომადგენლის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდების წაყენება მის მიერ გაცემული პასუხის გამო, რომელიც ეხებოდა საჯარო მოხელის მიერ განსაკუთრებით სენსიტიურ ეროვნულ საკითხებზე გამართულ დემონსტრაციას: მიჩნეულია და დარღვევად.

ჰაგენაუერი საფრანგეთის წინააღმდეგ
Hagenauer v. France, no. 34050/05, no. 129

სისხლისსამართლებრივი ბრალდების წაყენება იმ მტკიცებულებათა პუბლიკაციისათვის, სადაც შეფარვით იყო მოხსენიებული მუსლიმი პროფესორის ტერორისტული საქმიანობა: მიჩნეულია დარღვევად.

ბრუნეტ-ლექომტე და ლიონ მაგი საფრანგეთის წინააღმდეგ
Brunet-Lecomte and Lyon Mag' v. France, no. 17265/05, no. 130

ამერიკელი აკადემიკოსის სადავო მოსაზრებების ხელახალი აკრძალვა, რომლებიც ქურთებისა და სომხების საკითხებს ეხებოდა: მიჩნეულია დარღვევად.

კოქსი თურქეთის წინააღმდეგ
Cox v. Turkey, no. 2933/03, no. 130

სისხლისსამართლებრივი ბრალდების წაყენება მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართ, რომლებიც უკანონო ორგანიზაციის მხარდამჭერ სლოგანებს ყვიროდნენ: მიჩნეულია დარღვევად.

გული და სხვები თურქეთის წინააღმდეგ
Gul and Others v. Turkey, no. 4870/02, no. 131

წიგნის დაყადაღება ორი წლისა და რვა თვის განმავლობაში, სრულიად დაუსაბუთებელი სასამართლო გადაწყვეტილებების გამო: მიჩნეულია დარღვევად.

საპანი თურქეთის წინააღმდეგ
Sapan v. Turkey, no. 44102/04, no. 131

სისხლისსამართლებრივი ბრალდების წაყენება დეფამაციისათვის, რაც მოჰყვა წიგნის გამოქვეყნებას, რომელშიც ყოფილი პატიმარი აღწერდა თავის სასამართლო პროცესს: მიჩნეულია დარღვევად.

როლან დიუმა საფრანგეთის წინააღმდეგ
Roland Dumas v. France, no. 34875/07, no. 132

უნივერსიტეტის პროფესორის ბრალეულად ცნობა სასამართლოს განკარგულების აღუსრულებლობის გამო, რომელიც ავალდებულებდა მას საკვლევი მასალების ხელმისაწვდომობას: არ არის მიჩნეული დარღვევად (საქმე განსახილველად გადაეცა დიდ პალატას).

გილბერგი შვედეთის წინააღმდეგ
Gillberg v. Sweden, no. 41723/06, no. 135

თანამდებობის პირის მიერ საკასაციო სასამართლოს მოსამართლის ქცევაზე შედგენილი კონფიდენციალური მოხსენების შესახებ პრესაში გამოთქმული კომენტარების გამო მიყენებული ზარალის ანაზღაურება: არ არის მიჩნეული დარღვევად.

პოირაზი თურქეთის წინააღმდეგ
Poyraz v. Turkey, no. 15966/06, no. 136

ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლება

პოლიციის მიერ იმ მასალების დაყადაღება, რომლის საშუალებითაც შესაძლოა, გამჟღავნებულიყო ჟურნალისტური ინფორმაციის წყაროს ვინაობა: მიჩნეულია დარღვევად.

სანომა უიტგევერს ბ.ვ. ნიდერლანდების წინააღმდეგ
Sanoma Uitgevers B.V. v. the Netherlands [GC], no. 38224/03, no. 133

ინფორმაციის გავრცელების საშუალება

აკრძალული ორგანიზაციების წერილობითი მასალების დაბეჭდვის გამო მასმედიის თანამშრომლების მიმართ პრაქტიკულად სპონტანური სისხლისსამართლებრივი ბრალდების წარდგენა: მიჩნეულია დარღვევად.

გიოზელი და იოზერი თურქეთის წინააღმდეგ
Guzel and Izer v. Turkey, nos. 43453/04 and 31098/05, no. 132

გამომცემელ-რედაქტორმა მუნიციპალური გაზეთის ეგზემპლარები დაუსაბუთებლად ამოიღო, რაც საგაზეთო პუბლიკაციების დაბეჭდვას მოჰყვა: მიჩნეულია დარღვევად.

სალიევი რუსეთის წინააღმდეგ
Saliyev v. Russia, no. 35016/03, no. 134

პოზიტიური ვალდებულებები

ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ უზრუნველყვეს ჟურნალისტის გამოხატვის თავისუფლება, რომელიც წერდა სომხური წარმომავლობის თურქეთის მოქალაქეების თვითმყოფადობაზე: მიჩნეულია დარღვევად.

დინკი თურქეთის წინააღმდეგ
Dink v. Turkey, nos. 2668/07 et al., no. 133

მუხლი 11

შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება

